KA021794408816216

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

**N5/11104**

10 / მარტი / 2016 წ.

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 07.03.2016 წლის N1083/07 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანხმობის შემთხვევაში, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N2840 განკარგულებით მოწონებული და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N122 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის" მიხედვით, „ახალციხე-ბათუმის" 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე (ს/კ N24.07.36.304; N21.09.33.198; N21.08.31.188; N21.07.32.266; N21.06.34.367; N21.03.34.301; N21.03.34.302; N21.03.34.303 და N21.03.34.304), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს მერქნული რესურსის ჭრები, იმ პირობით თუ აღნიშნული მერქნული რესურსი არ წარმოადგენს საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცულ მცენარეთა სახეობას, ამასთან, მოჭრილი მერქნული რესურსის დასაწყობება განხორციელდება სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და განხორციელებული ქმედებით სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

10.03.2016